




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 115

2016 წლის 15 ნოემბერი



ხაშური

ა(ა)იპ „კულტურის ცენტრების გაერთიანებისთვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ კულტურის ცენტრების გაერთიანება (ს.კ 243918070) განთავსებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში (ს.კ 69.08.63.014). ა(ა)იპ-ის დირექტორის 2016 წლის 1 ნოემბრის № 153 წერილის საფუძველზე მუნიციპალიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული შენობა გადასცეს ა(ა)იპ კულტურის ცენტრების გაერთიანებას პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით, რათა ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს აღნიშნული უძრავი ქონებით წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5, მე-6 პუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ხაშური, რუსთაველის ქუჩა, ჩიხი II, № 6-ში (ს.კ 69.08.63.014) მდებარე უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ კულტურის ცენტრების გაერთიანებას (ს.კ 243918070);
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების 1-ლი პუნქტის შესრულებასთან;
3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი



ნოვე ტაბატაძე